„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია

---

7 მარტი 2025 წ.

<u>დ ე ბ უ ლ ე ბ ა</u>

ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მეთერთმეტე საკლუბო ჩემპიონატი 2009-2011 წლებში დაბადებულ ძიუდოისტ ვაჟებს შორის

თბილისი

2025

31 მარტი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში;
- იმ კლუბების გამოვლენა, რომლებიც იასპარეზებენ ფინალურ ეტაპზე, როგორც "ოქროს ლიგაში", ასევე "I ლიგაში".

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2009-2011 წლებში დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, რომელთა კლუბი ოფიციალურად იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში და გაივლის რეგისტრაციას ძიუდოს ფედერაციაში. კლუბი, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას საკლუბო ჩემპიონატში ვალდებულია წარმოადგინოს საჯარო რეესტრიდან კლუბის ამონაწერი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია 2025 წლის 24 მარტამდე. რაც შეეხება კლუბებს, რომლებიც მონაწილეობდნენ წინა ჩემპიონატებში, საკმარისია წარმოადგინონ მხოლოდ განცხადება საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის შესახებ. თითოეულ კლუბს წონაში შეუძლია 2 ძიუდოისტის დარეგისტრირება.

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა აკრედიტაცია და განაცხადების მიღება იწარმოებს 2025 წლის 26 მარტამდე. კენჭისყრა ჩატარდება 30 მარტს ძიუდოს აკადემიაში. აკრედიტაციის გავლა ასევე შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტში ელექტრონული ფოსტით registr.gjf@gmail.com. განაცხადის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან http://gjf.ge/geo/calendar/georgia.

შენიშვნა: აკრედიტაციის გავლის გარეშე კლუბები კენჭისყრაზე და შესაბამისად შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან !!!

- შეჯიბრება ჩატარდება 2025 წლის 31 მარტს თბილისში, ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე - 30 მარტი. წასვლის დღე – 1 აპრილი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 11:00.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 5 წონით კატეგორიაში: -55კგ; -60კგ; -66კგ; -73კგ; +73კგ
- შეჯიბრებაში უნდა გამოვლინდეს 12 საუკეთესო გუნდი, რომელიც იასპარეზებს „ოქროს ლიგაში". მეოთხედფინალში გასული 8 გუნდი პირდაპირ მოიპოვებს „ოქროს ლიგის" ლიცენზიას. კიდევ ოთხი გუნდი გამოვლინდება დამამშვიდებელ წრეში, სადაც იასპარეზებენ მეოთხედფინალისტებთან წაგებული გუნდები.

<u>აწონვა: ქ. თბილისი, ძიუდოს აკადემია</u>
<u>30 მარტი</u>
არაოფიციალური 16:00 – 17:00;
ოფიციალური 17:00 – 18:00.

31 მარტი
არაოფიციალური 8:30 – 9:00;
ოფიციალური 9:00 – 10:00.

- შეჯიბრებაზე კლუბები დაიშვებიან საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სპორტსმენთა პირადობის მოწმობის (ორიგინალი) წარმოდგენის შემდეგ.

VI. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (დამისთევა, კვება, მგზავრობა) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, მედპერსონალის ხელფასი, დაცვის მომსახურება და სხვა) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;

ელექტრონული მისამართი: **registr.gjf@gmail.com**

საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577 99 44 07

P.S.

- შეჯიბრებაზე აუცილებელი პირობაა თითოეულ სპორტსმენს ჰქონდეს, როგორც ლურჯი, ასევე თეთრი ფერის კიმანო.
- სპორტსმენთა მაქსიმალური რაოდენობა კლუბისთვის განისაზღვროს 10-ით, თითოეულ წონით კატეგორიაში 2 კვოტით.
- ის კლუბები, რომლებიც შეჯიბრებაზე გამოიყვანენ სხვა კლუბის სპორტსმენებს მოიხსნებიან, როგორც ამ შეჯიბრებიდან, ასევე 3 წლის განმავლობაში მიეცემათ დისკვალიფიკაცია. კლუბს სპორტსმენის გამოყვანის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ ეს სპორტსმენი მინიმუმ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში მაინც ვარჯიშობს ამ კლუბის რომელიმე მწვრთნელთან.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე